

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №151/ნ
2015 წლის 25 ნოემბერი ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და
სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge; 210211; 21/02/2011 წ., სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ 25¹ მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) 3 თვის შემდეგ უზრუნველყოფს ტესტური დავალებების განადგურებას;“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი შარვაშიძე